

საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №14 , მუხ. 50) 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მონაცემები ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის შესახებ: მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე მონაცემები – ინდივიდუალური მეწარმისათვის ან იურიდიული პირისათვის (სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის); სახელის, გვარის, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების თაობაზე მონაცემები – ფიზიკური პირისათვის“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი